## გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

## განკარგულება № 3

**2018 წლის 12 იანვარი**
**ქ. გორი**

### გორის მუნიციპალიტეტის ინფრასტრუქტურული პროექტების თანადაფინანსების პროგრამის დამტკიცების შესახებ

გორის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ათეულობით არასამთავრობო და საბიუჯეტო ორგანიზაცია მუშაობს, რომელთა საქმიანობა მიმართულია ინფრასტრუქტურული სახის პროექტების განხორციელებით ხელი შეუწყონ მუნიციპალიტეტში არსებული სხვადასხვა პრობლემების გადაჭრას და შექმნან მექანიზმები შემდგომში ამ პრობლემების თავიდან ასაცილებლად.

არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ საკუთარი საქმიანობის დაგეგმვა და განხორციელება ძირითადად დაკავშირებულია საერთაშორისო დონორი ორგანიზაციების მიერ გამოცხადებულ კონკურსებთან და მათი დაფინანსების ძირითადი წყარო ამ კონკურსში გამარჯვების შედეგად მოპოვებული თანხებია. ხოლო საბიუჯეტო ორგანიზაციები, როგორიცაა საბავშვო ბაღები, ბიბლიოთეკები ან სკოლები, დამატებითი სახსრების მოძიების მიზნით მონაწილეობას იღებენ მსგავს კონკურსებში და საერთაშორისო და ადგილობრივი ფონდების დაფინანსებით სხვადასხვა აქტივობას ახორციელებენ. გორის მუნიციპალიტეტი დადებითად აფასებს ამ ორგანიზაციების მიერ გამოჩენილ აქტიურობას და მათი საქმიანობის ხელშეწყობის მიზნით აცხადებს მზადყოფნას გარკვეული თანადაფინანსებით წაახალისოს ყველა ის ორგანიზაცია (საბიუჯეტო დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციები, საბავშვო ბაგა-ბაღები, ბიბლიოთეკები, სკოლები და ა.შ.), არარეგისტრირებული კავშირი, არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი და სხვა), რომელიც საკუთარი სახსრებით ან დონორი ორგანიზაციებიდან გრანტის მიღების გზით მოახდენს წილობრივ თანადაფინანსებას და პროექტის განხორციელებით ხელს შეუწყობს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ინფრასტრუქტურული მდგომარეობის გაუმჯობესებას.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოსა და გორის მუნიციპალიტეტის მერს მიზანშეწონილად მიაჩნიათ დამტკიცდეს „გორის მუნიციპალიტეტის ინფრასტრუქტურული პროექტების თანადაფინანსების პროგრამა“.

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის" მე-16 მუხლის მე-3 და მე-4 პუნქტების, მე-19 მუხლის „ზ“ ქვეპუნქტის და 61-ე მუხლის 1-ლი და მე-2 პუნქტების შესაბამისად, გორის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

1. დამტკიცდეს „გორის მუნიციპალიტეტის ინფრასტრუქტურული პროექტების თანადაფინანსების პროგრამა“ დანართი №1-ის შესაბამისად ( თან ერთვის 4 ფურცლად).

2. განკარგულება ძალაში შევიდეს ხელმოწერისთანავე.

3. განკარგულების გასაჩივრება შესაძლებელია მისი გაცნობის დღიდან ერთი თვის განმავლობაში სარჩელის წარდგენის გზით გორის რაიონულ სასამართლოში (მისამართი ქ. გორი, სერგო ჯორბენაძის ქ. №30).

საკრებულოს თავმჯდომარე დავით რაზმაძე

დანართი №1

# გორის მუნიციპალიტეტის ინფრასტრუქტურული პროექტების თანადაფინანსების პ რ ო გ რ ა მ ა

1. პროგრამის სახელწოდება

ინფრასტრუქტურული პროექტების თანადაფინანსება

2. პროგრამის განხორციელების არეალი
   გორის მუნიციპალიტეტი

3. პროგრამის დაწყებისა და დამთავრების თარიღი

01 იანვარი 2018 წ.

31 დეკემბერი 2018 წ.

4. პროგრამის ორგანიზაციული კოდი საბიუჯეტო კლასიფიკაციით

-02 02 10-

5. პროგრამის დაფინანსების წყაროები
   ა) ძირითადი --- გორის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი ---
   პროგრამის განხორციელებაზე პასუხისმგებელი ორგანო
   - გორის მუნიციპალიტეტის მერიის სივრცითი მოწყობისა და ინფრასტრუქტურის სამსახური -

6. პრობლემების აღწერა და მისი აქტუალობის დასაბუთება და განხორციელების პრინციპები:

გორის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ათეულობით არასამთავრობო და საბიუჯეტო დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაცია მუშაობს, რომელთა საქმიანობა მიმართულია იმისაკენ, რომ ინფრასტრუქტურული სახის პროექტების განხორციელებით ხელი შეუწყონ მუნიციპალიტეტში არსებული სხვადასხვა პრობლემების გადაჭრას და შექმნან მექანიზმები შემდგომში ამ პრობლემების თავიდან ასაცილებლად.

არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ საკუთარი საქმიანობის დაგეგმვა და განხორციელება ძირითადად დაკავშირებულია საერთაშორისო დონორი ორგანიზაციების მიერ გამოცხადებულ კონკურსებთან და მათი დაფინანსების ძირითადი წყარო ამ კონკურსში გამარჯვების შედეგად მოპოვებული თანხებია. ხოლო საბიუჯეტო დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციები, როგორიცაა საბავშვო ბაღები, ბიბლიოთეკები ან სკოლები, დამატებითი სახსრების მოძიების მიზნით მონაწილეობას იღებენ მსგავს კონკურსებში და საერთაშორისო და ადგილობრივი ფონდების დაფინანსებით სხვადასხვა აქტივობას ახორციელებენ. გორის მუნიციპალიტეტი დადებითად აფასებს ამ ორგანიზაციების მიერ გამოჩენილ აქტიურობას და მათი საქმიანობის ხელშეწყობის მიზნით აცხადებს მზადყოფნას გარკვეული თანადაფინანსებით წაახალისოს ყველა ის ორგანიზაცია (საბიუჯეტო დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციები, საბავშვო ბაგა-ბაღები, ბიბლიოთეკები, სკოლები და ა.შ.), არასამთავრობო, სათემო, არარეგისტრირებული კავშირი, არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი და სხვა), რომელიც საკუთარი სახსრებით ან დონორი ორგანიზაციებიდან გრანტის მიღების გზით მოახდენს წილობრივ თანადაფინანსებას და პროექტის

განხორციელებით ხელს შეუწყობს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ინფრასტრუქტურული მდგომარეობის გაუმჯობესებას.

**პროექტის წარმომდგენმა ორგანიზაციამ უნდა მოახდინოს თანადაფინანსება პროექტის საერთო ღირებულების მინიმუმ 10%-ის ოდენობით.**

<u>შერჩევის კრიტერიუმები</u>

პროგრამაში მონაწილეობის მისაღებად შერჩეული იქნება ორგანიზაციის მიერ წარმოდგენილი განაცხადები, რომლებიც აკმაყოფილებენ წინასწარ განსაზღვრულ მოთხოვნებს.

## 7. პროგრამის მიზნები და მათი მიღწევის შეფასების ინდიკატორები

| № | პროგრამის მიზნები | მიზნების მიღწევის შეფასების ინდიკატორები |
|---|---|---|
| 1 | გორის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე განხორციელებული პროექტების შედეგად ინფრასტრუქტურული მდგომარეობის გაუმჯობესება | ადგილობრივი ბიუჯეტის თანადაფინანსებით განხორციელებული პროექტების რაოდენობა |
| 2 | იმ ორგანიზაციათა (საბიუჯეტო დაფინანსებაზე მყოფი (საბავშვო ბაგა-ბაღები, ბიბლიოთეკები, სკოლები და ა.შ.), არარეგისტრირებული კავშირი, არასამეწარმეო (არაკომერციული)იურიდიული პირი და სხვა), მუშაობის ხელშეწყობა, რომელიც საკუთარი სახსრებით ან დონორი ორგანიზაციებიდან გრანტის მიღების გზით მოახდენს წილობრივ თანადაფინანსებას და პროექტის განხორციელებით ხელს შეუწყობენ მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ინფრასტრუქტურული მდგომარეობის გაუმჯობესებას. | |

## 8. პროგრამის ამოცანები და მათი წარმატების შეფასების ინდიკატორები

| № | პროგრამის ამოცანები |
|---|---|
| 1 | ინფორმაციის გავრცელება აღნიშნული პროგრამის შესახებ |
| 2 | პროექტების განხილვა |
| 3 | პროექტების თანადაფინანსება |

9. პროგრამით მოსარგებლე პირთა (მომხმარებელთა) რაოდენობა და კატეგორია

| № | მომხმარებელთა კატეგორია | რაოდენობა | პროგრამით (ქვეპროგრამით) გათვალისწინებული დახმარება (მომსახურება) | შენიშვნა |
|---|---|---|---|---|
| 1 | ის ორგანიზაცია (საბიუჯეტო დაფინანსებაზე მყოფი (საბავშვო ბაგა-ბაღები, ბიბლიოთეკები, სკოლები და ა.შ.), არარეგისტრირებული კავშირი, არასამეწარმეო (არაკომერციული)იურიდიული პირი და სხვა (შემდგომში ორგანიზაცია), რომელიც საკუთარი სახსრებით ან დონორი ორგანიზაციებიდან გრანტის მიღების გზით მოახდენს წილობრივ თანადაფინანსებას და პროექტის განხორციელებით ხელს შეუწყობს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ინფრასტრუქტურული მდგომარეობის გაუმჯობესებას. | განუსაზღვრელია, 2018 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის პროგრამული კოდით განსაზღვრული ფარგლებში მის ამოწურვამდე | თანადაფინანსება | |
| | სულ: | | | |

10. პროგრამის სამოქმედო გეგმა დასახული მიზნებისა და ამოცანების მიხედვით

| № | საქმიანობის აღწერა | იანვარი | თებერვალი | მარტი | აპრილი | მაისი | ივნისი | ივლისი | აგვისტო | სექტემბერი | ოქტომბერი | ნოემბერი | დეკემბერი |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | ინფორმაციის გავრცელება აღნიშნული პროგრამის შესახებ | | | | | | | | | | | | |
| 2 | პროექტების განხილვა | | | | | | | | | | | | |
| 3 | პროექტების თანადაფინანსება | | | | | | | | | | | | |

**11. დამატებითი ინფორმაცია**

1. პროგრამის ფარგლებში გორის მუნიციპალიტეტიდან არაუმეტეს 90% ფარგლებში თანადაფინანსებას მიიღებს ყველა ის ორგანიზაცია (საბიუჯეტო დაფინანსებაზე მყოფი (საბავშვო ბაგა-ბაღები, ბიბლიოთეკები, სკოლები და ა.შ.) არარეგისტრირებული კავშირი, არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი და სხვა) (შემდგომში ორგანიზაცია), რომელიც საკუთარი სახსრებით ან დონორი ორგანიზაციებიდან გრანტის მიღების გზით მოახდენს წილობრივ თანადაფინანსებას და პროექტის განხორციელებით ხელს შეუწყობს გორის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ინფრასტრუქტურული მდგომარეობის გაუმჯობესებას.
2. თანადაფინანსების გაცემა ხდება ორგანიზაციასა და მუნიციპალიტეტის მერიას შორის გაფორმებული მემორანდუმის ან შესაბამისი განცხადების წარმოდგენის გზით.
3. ორგანიზაციიდან წარმოდგენილი განცხადება და პროექტის ხარჯთაღრიცხვა განიხილება გორის მუნიციპალიტეტის მერიის სივრცითი მოწყობისა და ინფრასტრუქტურის სამსახურის მიერ და მოწონების შემთხვევაში მოწონებულ პროექტზე გამოცხადდება ელექტრონული ტენდერი. ტენდერში გამარჯვებულ კომპანიასა და გორის მუნიციპალიტეტის მერიას შორის გაფორმდება ხელშეკრულება სამუშაოთა იმ ღირებულებაზე, რაც წარმოადგენს სხვაობას პროექტის მთლიან ღირებულებასა და მოპოვებულ გრანტს შორის, ხოლო რაც შეეხება გრანტით მოპოვებული პროექტით გათვალისწინებულ სამუშაოებს, ხელშეკრულება უნდა გაფორმდეს შესაბამის ორგანიზაციასა და გამარჯვებულ კომპანიას შორის.
4. ანაზღაურება მოხდება ორგანიზაციის მიერ სამუშაოებს შესრულების ამსახველი დოკუმენტაციის: მიღება-ჩაბარების აქტის, შესრულებული სამუშაოს ფორმა №2-ის და ექსპერტიზის დასკვნის წარმოდგენის შემთხვევაში.

პროგრამის განხორციელებაზე პასუხისმგებელი პირი

გორის მუნიციპალიტეტის მერიის სივრცითი მოწყობისა და ინფრასტრუქტურის სამსახური

„ 27 " დეკემბერი 2017 წელი